



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული
საბაკალავრო პროგრამა
0214.1.1 მხატვრული მინა
0214.1.2 მხატვრული კერამიკა
0214.1.3 საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება
0214.1.4 ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება
სამაგისტრო პროგრამა
0214.1.1 მხატვრული მინა
0214.1.2 მხატვრული კერამიკა
0214.1.3 საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება
0214.1.4 ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება

სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემია

შეფასების თარიღი: 13.-15.09.2023.
დასკვნის წარდგენის თარიღი: 19.12.2023.

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ Error! Bookmark not defined.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა..... Error! Bookmark not defined.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან Error! Bookmark not defined.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა Error! Bookmark not defined.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..... Error! Bookmark not defined.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა Error! Bookmark not defined.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა..... Error! Bookmark not defined.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
ინსტიტუციის სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	არვიდს ენდზინსი, ლატვიის სამხატვრო აკადემია, ლატვია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლელია გრიგოლია (დარგის ექსპერტი) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა ჯაფარიძე (დამსაქმებელი ექსპერტი) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ცოტნე ღუღუნიშვილი (სტუდენტ-ექსპერტი) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

1. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა	მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა	მხატვრული კერამიკა, საბაკალავრო პროგრამა	მხატვრული კერამიკა, სამაგისტრო პროგრამა	საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა	საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა	ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, საბაკალავრო პროგრამა	ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ მინაში	ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ მინაში	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში	ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში	ხელოვნების ბაკალავრი საიუველირო ხელოვნებაში	ხელოვნების მაგისტრი საიუველირო ხელოვნებაში	ხელოვნების ბაკალავრი ხის მხატვრულ დამუშავებაში	ხელოვნების მაგისტრი ხის მხატვრულ დამუშავებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0214.1.1 მხატვრული მინა	0214.1.1 მხატვრული მინა	0214.1.2 მხატვრული კერამიკა	0214.1.2 მხატვრული კერამიკა	0214.1.3 საიუველირო ხელოვნება	0214.1.3 საიუველირო ხელოვნება	0214.1.4 ხის მხატვრული დამუშავება	0214.1.4 ხის მხატვრული დამუშავება
ზოგადი შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის	-	-	-	-	-	-	-	-

სწავლების მიზანობა ¹	უფლები								
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	125	240	125	240	125	240	125	
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებუ ლი/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშო რისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიმართებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებუ ლი 21.10. 2011 N 154	აკრედიტებული 09.08.2012 N 321	აკრედიტებული 21.10. 2011 N 154	აკრედიტებული 09.08.2012 N 318	აკრედიტებული 21.10. 2011 N 157	აკრედიტებ ული 09.08.2012 N 318	აკრედიტებ ული 21.10. 2011 N 155	აკრედიტებულ ი 09.08.2012 N 314	

¹(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

8 საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერი (მხატვრული მინის, მხატვრული კერამიკის, საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების, ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. ამის საფუძველზე აკრედიტაციის ჯგუფმა 8 სექტემბერს ონლაინ შეხვედრა გამართა. გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც მივიღეთ უსდ-სგან. ჯგუფი გაეცნო წინა აკრედიტაციის ზოგად დასკვნებს, რომელიც ჩატარდა 2011 წელს საბაკალავრო პროგრამებზე და 2012 წელს მაგისტრატურაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

13 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით აპოლონ ქუთეთელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტი გაიმართა. ადგილზე ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი ორჯერ შეიკრიბა ელექტრონული დისტანციური საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გამოყენებით, რათა განეხილათ წინასწარი მიგნებები თვითშეფასების ანგარიშის განხილვისა და შესაბამისი დანართების წაკითხვის საფუძველზე, ასევე განეხილათ ვიზიტის პროცესი.

ადგილზე ვიზიტის დროს, ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, ყველა შესაფასებელი პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან. აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო საბაკალავრო და სადიპლომო ნაშრომების ვიზუალურ მასალებს. ჩატარდა გასაუბრებები დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან. აკრედიტაციის ჯგუფმა დაათვალიერა ყველა პროგრამის სახელოსნო და აკადემიის ბიბლიოთეკა. ყველა გასაუბრება, თითოეულ ჯგუფთანინდივიდუალურად ჩატარდა. ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა, აკადემიის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ თანამშრომლობით და ღია იყვნენ დისკუსიებისა და რჩევებისადმი. მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია დაწესებულების მიერ დროულად იქნა მოწოდებული.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

²პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

რვა საგანმანათლებლო პროგრამის მდგომარეობის შეფასება მთლიანობაში დადებითი იყო. ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია შემდეგ სტანდარტებთან:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

- **რეკომენდაციები**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

- 1.1. რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია სადისციპლინათაშორისო მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ერთობლივი მუშაობის უნარს და რაციონალურად იყენებს სასწავლო რესურსებს. საერთო მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და ასევე ფაკულტეტის პერსონალის მობილობის გაფართოება.

პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)

ვინაიდან მინის დიზაინი ინტეგრირებულია დიზაინის ფაკულტეტში, დისციპლინათაშორისობა შეიძლება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული სასწავლო შინაარსში. მინა ინტერიერში, არქიტექტურაში, მინის, როგორც მასალის პრაქტიკული გამოყენება და ფუნქცია.

პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდებულია, გაიზარდოს ფოკუსირება კვლევაზე დაფუძნებულ დიზაინზე, რათა მათ, ვისაც არ უსწავლია ეს მიმართულება ბაკალავრიატის საფეხურზე, შეეძლოთ თავიანთი სწავლა მიმართონ მასალების კვლევაზე. კურიკულუმში შეიტანეთ საერთაშორისო კონკურსებში, გამოფენა-ბაზრობებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა.

პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)

ტექნოლოგიურ დონეზე არსებული მტკიცე ტრადიციის მიუხედავად, აშკარაა ახალი ტექნოლოგიების წილის გაზრდის აუცილებლობა პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპებზე და მთლიანობაშიც.

პროგრამა 6 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)

გაიზარდოს აქცენტი კვლევაზე და საპრეზენტაციო ტექნიკებზე მუშაობის მიმართულებით.

პროგრამა 7 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, საბაკალავრო პროგრამა)

მეტი აქცენტი გაკეთდეს პროექტირების ისეთ პრინციპებზე, როგორცაა მდგრადობა, ფუნქციონირება და ავეჯის ინდუსტრიაში არსებულ გლობალურ საკითხებზე რეაგირება.

პროგრამა 8 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა)

მეტი აქცენტი გაკეთდეს პროექტირების ისეთ პრინციპებზე, როგორცაა მდგრადობა, ფუნქციონირება და ავეჯის ინდუსტრიაში არსებულ გლობალურ საკითხებზე რეაგირება. მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევას.

1.2. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესება და ტექნიკური ბაზის განვითარება სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით.

პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)

უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესება და ტექნიკური ბაზის განვითარება სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით.

პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესება და ტექნიკური ბაზის განვითარება სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით.

პროგრამა 3 (მხატვრული კერამიკა, ბაკალავრიატი)

გაგრძელდეს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

პროგრამა 4 (მხატვრული კერამიკა, მაგისტრატურა)

გაგრძელდეს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)

განავითარეთ ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ინკორპორირებით. გაფართოვდეს შესაძლებლობები კეთილმოწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი სასწავლო პროცესი.

პროგრამა 6 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)

განავითარეთ ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ინკორპორირებით. გაფართოვდეს შესაძლებლობები კეთილმოწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი სასწავლო პროცესი.

პროგრამა 7 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, საბაკალავრო პროგრამა)

განავითარეთ ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით.

პროგრამა 8 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა)

განავითარეთ ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით.

1.3. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: შემუშავდეს ინდივიდუალური გეგმები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, გამოვლინდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, შესაბამისი სამიზნე ნიშნულებით და საბოლოო შეფასებით.

გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ყველა სწავლის შედეგის განვითარება სამ დონეზე და სწავლის შედეგების მიღწევის დონე ლოგიკურად გაიზარდოს.

1.4. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კრედიტების საერთო რაოდენობა ნაწილდება დარგობრივი პრიორიტეტებისა და პროგრამის მიზნების მიხედვით, მაგრამ შინაარსი უნდა იყოს ადაპტირებული ისე რომ პასუხობდეს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების, პრევენტაციის მეთოდების და სპეციალიზაციის შესაბამისი უცხო ენის ცოდნის უნარების შემოტანის საჭიროებას.

1.5. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. ახალი უცხოენოვანი პუბლიკაციების დამატება ძირითად საგნებში.
2. გაძლიერდეს და გამოიკვეთოს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი.
3. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სახელოსნოები საჭიროებს უფრო თანამედროვე მასალებით აღჭურვას.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.2. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: სტუდენტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ვორქშოფების, კრეატიული პროექტების და შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი აქტივობების შესახებ ფაკულტეტის ელ. ფოსტის საშუალებით.

ხელი მოეწეროს დეტალურ მემორანდუმებს სტუდენტებისთვის, სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის თაობაზე.

რეგულარულად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვები პროგრამის გასაუმჯობესებლად შედეგების გასაანალიზებლად.

2.3. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია მეტი მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ხელი შეეწყოს პედაგოგთა მობილობას და მეტი შესაძლებლობების შექმნას მოწვეული ლექტორების მოსაწვევად, რაც დაემატება გამოყენებული მეთოდების დიაპაზონს. მიზანშეწონილი იქნება სტუდენტების/სახელოსნოების ციფრული ეკრანებით უზრუნველყოფა, რათა პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ.

2.4. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. 1 როგორც საბოლოო შეფასების ნაწილი, სტუდენტის განვითარება უნდა გაანალიზდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს პარალელურად, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს შედეგებზე.

2. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, აღინიშნა, რომ შეფასებების შემდეგ, მათ არ მიეწოდებათ დეტალური ახსნა, თუ რატომ ვერ ჩააბარეს.
3. ასევე, სტუდენტებთან გასაუბრებისას გავარკვეეთ, რომ ქულასთან დაკავშირებული გასაჩივრების პროცესი მათთვის ბუნდოვანია.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. ვინაიდან კლასტერში შემავალი პროგრამები, ძირითადად, პრაქტიკული კურსებია, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის ინსტრუმენტებზე და დანადგარებზე, რომელიც აკადემიამ უნდა უზრუნველყოს.

2. აკადემიამ უნდა დაფაროს სტუდენტებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების ხარჯები. სტუდენტებს აქვთ სწავლის პროცესის დივერსიფიკაციის მცირე შესაძლებლობა, რადგან მათ ექსპერიმენტებისთვის შეზღუდული რესურსები აქვთ. ამ მიზეზით, ეს რესურსები გამოიყენება მხოლოდ დიდი მნიშვნელობის მქონე პროექტებისთვის როგორცაა საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო პროექტი და ა.შ.

3. იმის გამო, რომ სტუდენტების მხოლოდ მინიმალური რაოდენობა მონაწილეობს საერთაშორისო (გაცვლითი პროგრამები) და ადგილობრივ პროექტებში (საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა), აუცილებელია აკადემიამ კიდევ უფრო წახალისოს სტუდენტები და აამაღლოს მათი ცნობიერების დონე, მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდის მიზნით.

4. აკადემიამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომლითაც მხარს დაუჭერს უცხოელი სტუდენტების სწრაფ ინტეგრაციას. მაგალითად, აკადემიაში შესაძლებელია „ტუტორთა სკოლის“ შემოღება, რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში ტოლერანტული გარემოს გაძლიერება. ამ პროცესში ჩართული არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები, თუმცა აკადემიური პერსონალიც უნდა იყოს პასუხისმგებელი.

3.2. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, რის შედეგადაც აკადემიის სტუდენტებისთვის ახალი პერსპექტივები გაიხსნება. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებას და საერთაშორისო (პარტნიორ) უნივერსიტეტებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.

2. ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ არის აღრიცხული სტუდენტების ჩართვა კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროექტების დაფინანსებას. გაცვლითი პროგრამები დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა ასევე მინიმალურია. ამიტომ აუცილებელია, აკადემიამ კიდევ უფრო წახალისოს სტუდენტები და აამაღლოს ცნობიერების დონე, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა მსგავს კონკურსებში.

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები 1,2,5,6,7 და 8 მოითხოვს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების განახლებას.
2. საჭიროა სტუდენტებისა და მოწვეული ლექტორების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში.
3. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სემინარები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მასალებითა და ინსტრუმენტებით ისე, რომ არ შეფერხდეს სტუდენტის პრაქტიკული სასწავლო პროცესი.

4.2. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო პროექტებში (გამოფენები, ბიენალები, ვორქშოპები და ა.შ.) .

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლების მეთოდების თანამედროვე ტენდენციებით.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, უნდა შეარჩიონ შესაბამისი კვლევის, სწავლების მეთოდი.

4.3. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

პროგრამის განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდეს აკადემიური/ინოვაციური სასწავლო ტრენინგები მოწვეული/აკადემიური პერსონალისთვის.

რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის გამოკითხვები და ანალიზი, რათა ხელი შეეწყოს პროგრამის განვითარებას.

მოწვეულ/აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ აკადემიის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნოს წერილობითი ინფორმაცია.

4.4. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)

ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრების შედეგად დაფიქსირდა მთავარი ღუმელის გაუმართაობა, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას. სტუდენტებმა, ასევე გამოთქვეს უკმაყოფილება ინსტრუმენტების მიმართ. პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობა და ხელსაწყოები უნდა მოწესრიგდეს.

პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრების შედეგად დაფიქსირდა მთავარი ღუმელის გაუმართაობა, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას. სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს უკმაყოფილება ინსტრუმენტების მიმართ. პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობა და ხელსაწყოები უნდა მოწესრიგდეს .

პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)

სახელოსნოში ვიზიტისას ვნახეთ სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოს ნიმუშები, რაც ასახავს მრავალწლიან ტრადიციას და ოსტატობას. რეკომენდებულია პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების/წიგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამა 6 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)

სახელოსნოში ვიზიტისას ვნახეთ სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოს ნიმუშები, რაც ასახავს მრავალწლიან ტრადიციას და ოსტატობას. რეკომენდებულია პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების/წიგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

4.5. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

დეტალურად გაწერილი ბიუჯეტები უნდა შეიცავდეს ხარჯების ჩამონათვალს ცალ-ცალკე, თითოეული პროგრამისთვის: რამდენი დაიხარჯა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტრენინგის ხარჯები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს და ა.შ.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

5.1. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება და პროგრამის პერსონალის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

5.3. რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა პროგრამების შეფასებაში და შედეგების ანალიზის უზრუნველყოფა ინდივიდუალური პროგრამის დონეზე.

1. ასევე შესაძლებელია დაემატოს ინფორმაცია ბოლო პერიოდის სტუდენტთა მიღების სტატისტიკასთან დაკავშირებით. ეს დაგეხმარებათ ტენდენციების გაანალიზებაში, მაგალითად, რამდენად პოპულარულია პროგრამები აბიტურიენტებში. თუ კონკრეტულ პროგრამაზე კონკურენცია დაბალია, არსებობს შესაძლებლობა, რომ

რეაგირება მოახდინოთ დაგეგმილი საჯარო აქტივობებით, რათა გაიზარდოს მსურველთა რაოდენობა და მიღებულ სტუდენტთა შემოქმედებითი ხარისხი.

2. თვითშეფასების ანგარიშს აკლია ანალიტიკური ინფორმაცია იმ სტუდენტების შესახებ, რომელთაც მიატოვეს სწავლა და ასევე ინფორმაცია, თუ რატომ შეწყვიტეს სწავლა. გამოკითხვის ჩატარება ხელს შეუწყობს მომავალში ზოგიერთი მიზეზის გაანალიზებას და თავიდან აცილებას.
3. თვითშეფასების ანგარიშში არის ინფორმაცია არჩეული სასწავლო პერსონალის შესახებ (CV). სიტუაციის უკეთ გასაგებად, დოკუმენტს აკლია ინფორმაცია მომდევნო ვადით ხელახალი არჩევისთვის საჭირო აქტივობების შესახებ. მაგალითად, საერთაშორისო მობილობა, სემინარები, კურსები, კრეატიული პროექტები, რეზიდენტურებში მონაწილეობა, სიმპოზიუმები. სწავლების ენა ქართულია, მაგრამ საერთაშორისო მობილობისთვის და ჩამოსული სტუდენტებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კურსებისა და ლექციების ჩატარებისთვის საჭიროა უცხო ენების გამოყენება. არსებობს ამ უნარების შეფასების მექანიზმი? წინა აკრედიტაციის ჯგუფმა ხაზი გაუსვა პრობლემებს უცხო ენების ცოდნის დონესთან დაკავშირებით.
4. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ადმინისტრაციამ უნდა მოძებნოს გზები, რათა შექმნას მდგრადი ფინანსური ბაზა სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერისთვის საერთაშორისო კონტაქტების შესაქმნელად და ცოდნის შესაძენად.
5. ყველა პროგრამის ტექნიკური ბაზა უნდა განახლდეს და გაუმჯობესდეს. მინისა და ლითონის პროგრამებში არსებული ხელსაწყოები და აღჭურვილობა ვერ დააკმაყოფილებს სრულ სასწავლო პროცესს. ლითონის პროგრამის სახელოსნოს აქვს ძალიან კომპაქტური სივრცე, მიზანშეწონილია, რომ ჰქონდეს უფრო დიდი ოთახი, უფრო უსაფრთხო და პროდუქტიული სამუშაოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია დიდ ძალისხმევას იჩენს ძირითადი შენობის, ბიბლიოთეკის და ა.შ. აღდგენისთვის, საჭიროა ფინანსური რესურსების მოძიება ტექნიკური მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად უახლესი ხელსაწყოებით და მანქანებით.
6. აკადემიამ, როგორც სახელმწიფო დაწესებულებამ, უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო კომპიუტერული პროგრამა სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებისთვის.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1.1.

კლასტერის საერთო რჩევები: დიზაინის კომპონენტის გაძლიერება კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამაში.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 4 (მხატვრული კერამიკა, მაგისტრატურა)

შესაძლებელია დისციპლინათაშორისობის გაძლიერება სხვადასხვა მასალის კომბინაციით და ძლიერი საერთაშორისო ბრენდების შექმნაზე ფოკუსირებით.

1.2.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 7 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, ბაკალავრიატი)

CNC აპარატის სამუშაოების ჩართვა სასწავლო პროცესში.

პროგრამა 8 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა)

CNC აპარატის სამუშაოების ჩართვა სასწავლო პროცესში.

1.3.

კლასტერის საერთო რჩევები: პროგრამის პერსონალში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

2.4.

კლასტერის საერთო რჩევები:

1. რჩევაა, შეფასების პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე სტუდენტებისთვის.
2. რელევანტური იქნება, თუკი სტუდენტები, მათი ხელმძღვანელისგან, დროულად მიიღებენ შეფასებასთან დაკავშირებულ უკუკავშირს.

4.2.

კლასტერის საერთო რჩევები:

აქტუალური იქნება, თუ ხელმძღვანელები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს და მათი ჩართულობით სამაგისტრო პროგრამაში დაინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები.

5.2.

კლასტერის საერთო რჩევები: წახალისდეს უფრო დეტალური და საფუძვლიანი გარე კოლეგიალური რეცენზირება პროგრამის განვითარებისთვის. შესაძლოა ხელსაყრელი აღმოჩნდეს, კოლეგიალური შეფასებისა და კომუნიკაციისთვის სპეციალურად შემუშავებული ფორმა.

5.3.

კლასტერის საერთო რჩევები: პროგრამების შესახებ ღირებული ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ მხარეებთან და მათ შორის ფოკუს ჯგუფების, დიალოგის, დისკუსიებისა და მრგვალი მაგიდების შემდგომი წახალისება და გაძლიერება .

1. სწავლის შესაძლებლობების შესახებ მეტი ინტერესის მოსაზიდად საჭიროა ვებგვერდის (ინგლისური ვერსია) ინფორმაციის და ვიზუალური მასალის ხარისხის რეგულარული განახლება.
2. ჯგუფი გაეცნოს საბაკალავრო და სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების ვიზუალურ პრეზენტაციას. პრეზენტაციების ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს, რასაც ხელს შეუწყობს დისციპლინათაშორისი თანამშრომლობის პროექტები აკადემიის სხვადასხვა პროგრამებსა და სხვა დეპარტამენტებს შორის (მაგალითად, ფოტოები, ახალი მედია და ა.შ.).
3. სტუდენტების წახალისება საერთაშორისო დონეზე უფრო ამბიციური მიზნების დასახვის მიზნით.
4. გაგრძელდეს პროგრამების შინაარსის განვითარება ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

აკრედიტაციის ექსპერტთა პასუხი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციაზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციას. ჩვენ გვსურს გამოვხატოთ მადლიერება თვითშეფასების ანგარიშის, ყველა დამატებითი დოკუმენტაციის მომზადებისათვის, ადგილზე ვიზიტების ორგანიზებისათვის, ინტერვიუებისა და შეხვედრებისათვის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ყველა ჩართულ ჯგუფთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ყველა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებთან. აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ვიზუალურ მასალებს. ჩატარდა ინტერვიუები დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. აკრედიტაციის გუნდმა დაათვალიერა ყველა პროგრამის სახელოსნო და აკადემიის ბიბლიოთეკა. ყველა ინტერვიუ ჩატარდა დამოუკიდებლად თითოეულ ჯგუფთან. ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ გარემოში, აკადემიის წარმომადგენლები იყვნენ კოოპერატიულნი დისკუსიებში და ღია რჩევებისადმი.

აკრედიტაციის დროს ჩვენ ვიგრძენით გულისხმიერი და პროდუქტიული თანამშრომლობა ექსპერტთა ჯგუფსა და აკადემიის წარმომადგენლებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფი აფასებს არგუმენტირებულ პოზიციას პროგრამების აკრედიტაციის საბოლოო პროექტთან დაკავშირებით. ჩვენი შეფასების უდიდესი ნაწილი ეფუძნება დოკუმენტებს, რომლებიც შეტანილია თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ საბოლოო შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი ყალიბდება ჩართული ჯგუფების მონაწილეებთან რამდენიმე ინტერვიუსა და შეხვედრის დროს, ასევე ადგილზე ვიზიტის, სახელოსნოებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესწავლის დროს.

ჩვენი ზოგიერთი დაკვირვება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ რვავე პროგრამა შედის დიზაინის ფაკულტეტში. ამავე დროს, ეს დისციპლინები კლასიფიცირებულია გამოყენებითი ხელოვნების (ხელნაკეთობა) ქვეშ 2022 წლიდან. ჩვენი რჩევები გაკეთდა ხელოვნებისა და დიზაინის განათლების საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, სადაც საზღვრები გამოყენებით ხელოვნებასა და დიზაინს შორის ქრება. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ჩვენი მოსაზრების გაზიარებასთან დაკავშირებულ ძალისხმევას მეტი ყურადღების გამახვილების თაობაზე დიზაინის რამდენიმე ასპექტის მიმართ რვავე პროგრამაში. მიზანია ხელი შეუწყოს ფოკუსის გადატანას დეკორატიული ნამუშევრების შექმნიდან ნივთების შექმნაზე დიზაინის აზროვნების გამოყენებით, როგორცაა მდგრადობა, მომხმარებელზე ორიენტაცია, სოციალური პასუხისმგებლობა, დიზაინის ინდუსტრიასთან თანამშრომლობა და ა.შ.

სტანდარტი 3.1. (რეკომენდაცია)

მოწოდებული დოკუმენტაციის უფრო დეტალური გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა ამოიღო მე-5 რეკომენდაცია.

სტანდარტი 5.1. (რეკომენდაცია)

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სამუშაო ჯგუფები თანამშრომლობდნენ და ასევე გვსურს ხაზი გავუსვათ და აღვნიშნოთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევა. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაო, მათ შორის პროცესში პერსონალის ჩართვასთან და დაწესებულებაში ხარისხის კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებული ძალისხმევა, აღიარებული და დაფასებულია. თუმცა, პროცესი უწყვეტია და საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას და რეკომენდაცია გაიცა ინტერვიუს შედეგების საფუძველზე. ამიტომ, რეკომენდაცია რჩება ძალაში.

სტანდარტი 5.3. (რეკომენდაცია)

რეკომენდაცია ძალაში რჩება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების ხარისხი ფასდება მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე, შედეგების განხილვა და ანალიზი მიმდინარეობს ფაკულტეტის დონეზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის დონეზე ანალიზი იქნებოდა უფრო სასარგებლო.

ექსპერტები ერთიანნი არიან საერთო ხედვაში, რომ აკრედიტაციის პროცესი ხელს შეუწყობს ყველა პროგრამის შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება³

³**შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე,

2. კლასტერული შეფასება ⁴

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტთა შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური

შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁴ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას შეუძლია იამაყოს ხელოვნების, ხელოსნობისა და დიზაინის პროგრამების მრავალფეროვანი დარგის ხანგრძლივი ტრადიციით. მათ შორისაა დიზაინის ფაკულტეტის რვა პროგრამა, რომლებიც დაჯგუფებულია ამ კლასტერში.

თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ შეიძლება მათი შემდგომი დამუშავება.

უმთავრესი მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამოყენებით ხელოვნებაში,

აღჭურავს ისინი საგანმანათლებლო პროგრამის დონის შესაბამისი კომპეტენციებით. ეს მოიცავს შემოქმედებითი აზროვნების, პროფესიული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და მხატვრული უნარების განვითარებას. ტრადიციული ხელოვნების ტექნოლოგიები და ტექნიკა ისწავლება მაღალ დონეზე, თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამებში დაშვებულია და წახალისებულია დისციპლინათაშორისი მიდგომები და პროგრამები დაკავშირებულია შრომის ბაზრის მიერ ნაკარნახევ სამომხმარებლო ბაზართან.

აღწერა და ანალიზი –პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის მიზანი კარგად არის განსაზღვრული. პროგრამა ვითარდება და სტუდენტები წახალისებულნი არიან, რომ წავიდნენ შემოქმედებით რისკებზე. სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა უფრო უკეთ განსაზღვრული პროფესიული პრაქტიკული უნარების ფლობა და დასაქმების უნარი, საერთაშორისო პრაქტიკებზე მეტი წვდომა.

მიზნები ნათელია და შეესაბამება სასწავლო სფეროს მოთხოვნებს და განათლების დონეს, უნივერსიტეტის მისიას; ისინი ეფუძნება სასწავლო სფეროს მოთხოვნებს და ლოგიკურად დაკავშირებულია მის შინაარსთან და შედეგებთან; ასევე შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებსა და დეტალური სფეროს შინაარსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

მიზნები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი. პროგრამის მიზნებში ნათლად არის მითითებული რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს. თუმცა, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მიზნების მისაღწევად უფრო მეტი საერთაშორისო მიდგომებისა და მობილობის ჩართვა სასწავლო პროგრამაში. სახელოსნოში ხელმისაწვდომი აღჭურვილობა არ იძლევა ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილი ცოდნისა და ტექნიკური ექსპერტიზის დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (მხატვრული კერამიკა, ბაკალავრიატი)

პროგრამის მიზნები კარგად არის განსაზღვრული, ნათელი და საჯაროდ ხელმისაწვდომი. სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა უფრო უკეთ განსაზღვრული პროფესიული პრაქტიკული უნარების ფლობა და დასაქმების უნარი, საერთაშორისო პრაქტიკებზე მეტი წვდომა. ვინაიდან მხატვრული კერამიკა ინტეგრირებულია დიზაინის ფაკულტეტში, დისციპლინათაშორისობა შეიძლება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული სასწავლო შინაარსში, ისევე როგორც დიზაინის კვლევის მეთოდოლოგიის განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსსა და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 (მხატვრული კერამიკა, სამაგისტრო პროგრამა)

მიზნები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი. პროგრამის მიზნებში ნათლად არის მითითებული რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს

კურსდამთავრებულს. თუმცა, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მიზნების მისაღწევად უფრო მეტი საერთაშორისო მიდგომებისა და მობილობის ჩართვა სასწავლო პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)

მიზნები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი. პროგრამის მიზნებში ნათლად არის მითითებული რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს. ტრადიციული ტექნიკის შესწავლაზე ძალიან დიდი აქცენტის მიუხედავად, აუცილებელია საიუველირო სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და სიახლეების ჩართვა, დასახული მიზნების მისაღწევად.

სამუშაო გარემო და ინსტრუმენტების სპექტრი არ იძლევა მიზნების სრულად მიღწევის საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 / (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)

მიზნები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი. პროგრამის მიზნებში ნათლად არის მითითებული თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს. ტრადიციული ტექნიკის შესწავლაზე ძალიან დიდი აქცენტის მიუხედავად, აუცილებელია საიუველირო სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და სიახლეების ჩართვა, დასახული მიზნების მისაღწევად.

ბოლო წლებში გაიზარდა პრაქტიკული ლექციები, მაგრამ კვლევა სამაგისტრო პროგრამის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია და მიზანშეწონილი იქნებოდა მისი კიდევ უფრო გაფართოება.

სამუშაო გარემო და ინსტრუმენტების სპექტრი არ იძლევა მიზნების სრულად მიღწევის საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 / ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, საბაკალავრო პროგრამა

მიზნები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი. პროგრამის მიზნებში ნათლად არის მითითებული რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს. ტრადიციული ტექნიკის შესწავლაზე ძალიან დიდი აქცენტის მიუხედავად, აუცილებელია ავეჯის პროექტირების სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და სიახლეების ჩართვა, დასახული მიზნების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 / ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა

მიზნები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი. პროგრამის მიზნებში ნათლად არის მითითებული თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს. ტრადიციული ტექნიკის შესწავლაზე ძალიან დიდი აქცენტის მიუხედავად, აუცილებელია ავეჯის პროექტირების სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და სიახლეების ჩართვა, დასახული მიზნების მისაღწევად.

დასახული მიზნების სრულად მისაღწევად, მიზანშეწონილი იქნება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობა დარგში მიმდინარე მოვლენებში. როგორცაა გამოფენები, ბაზრობები.

სასურველია დიზაინის კარგი პრაქტიკის მეტი საერთაშორისო მაგალითების ჩართვა.

სასურველია ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების ცოდნის გაუმჯობესება დიზაინის შემუშავების სრული ციკლის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და გასაურების შედეგებს.

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია სადისციპლინათაშორისო მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ერთობლივი მუშაობის უნარს და რაციონალურად იყენებს სასწავლო რესურსებს. საერთო მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და ასევე ფაკულტეტის პერსონალის მობილობის გაფართოება .

კლასტერის საერთო რჩევები: დიზაინის კომპონენტის გაძლიერება კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: ვინაიდან მინის დიზაინი ინტეგრირებულია დიზაინის ფაკულტეტში, დისციპლინათაშორისობა შეიძლება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული სასწავლო შინაარსში. მინა ინტერიერში, არქიტექტურაში, მინის, როგორც მასალის პრაქტიკული გამოყენება და ფუნქცია.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გაიზარდოს ფოკუსირება კვლევაზე დაფუძნებულ დიზაინზე, რათა მათ, ვისაც არ უსწავლია ეს მიმართულება ბაკალავრიატის საფეხურზე, შეეძლოთ თავიანთი სწავლა მიმართონ მასალების კვლევაზე. კურიკულუმში შეიტანეთ საერთაშორისო კონკურსებში, გამოფენა-ბაზრობებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (მხატვრული კერამიკა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 (მხატვრული კერამიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: შესაძლებელია დისციპლინათაშორისობის გაძლიერება სხვადასხვა მასალის კომბინაციით და ძლიერი საერთაშორისო ბრენდების შექმნაზე ფოკუსირებით.

პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: ტექნოლოგიურ დონეზე არსებული მტკიცე ტრადიციის მიუხედავად, აშკარაა ახალი ტექნოლოგიების წილის გაზრდის აუცილებლობა პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპებზე და მთლიანობაშიც.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 6 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: გაიზარდოს აქცენტი კვლევაზე და საპრეზენტაციო ტექნიკებზე მუშაობის მიმართულებით.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 7 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: მეტი აქცენტი გაკეთდეს პროექტირების ისეთ პრინციპებზე, როგორცაა მდგრადობა, ფუნქციონირება და ავეჯის ინდუსტრიაში არსებულ გლობალურ საკითხებზე რეაგირება.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 8 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია: მეტი აქცენტი გაკეთდეს პროექტირების ისეთ პრინციპებზე, როგორცაა მდგრადობა, ფუნქციონირება და ავეჯის ინდუსტრიაში არსებულ გლობალურ საკითხებზე რეაგირება. მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევას.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება⁵

⁵შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
1.1 პროგრამის მიზნები					
პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 3 (მხატვრული კერამიკა, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 4 (მხატვრული კერამიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 6 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 7 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
პროგრამა 8 (ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის გასაუმჯობესებლად მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

აღნიშნული შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული, მაგრამ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მუშაობის მიმოხილვამ, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი სრულად არ შეესაბამება დადგენილ მიზნებს.

წინა სააკრედიტაციო ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების დონესთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები. გაუმჯობესებაა საჭირო პრეზენტაციის, როგორც ვიზუალური, ისე კონცეპტუალური ტექნიკების სწავლებასა და გამოყენებაში.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (მხატვრული მინა, ბაკალავრიატი)

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს. ის იძლევა სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას

სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. თუმცა, ვიზიტისა და გასაუბრების დროს, ნაკლებად გამოვლინდა იმ განაცხადის რეალურობა, რომ „სტუდენტი ითვალისწინებს მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში და სიმპოზიუმებში თავისი დარგის პოპულიზაციისათვის.

აქვს საჯარო პრეზენტაციების მოწყობის უნარი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის უცხო ენაზე“. ეს ნახსენები იყო თვითშეფასების ანგარიშში და ყურადღება მიიქცია. არსებული ტექნიკა მოძველებულია და რეკომენდებულია სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების ჩართვა, სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებას .

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს.

სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. თუმცა, ვიზიტისა და გასაუბრების დროს, ნაკლებად გამოვლინდა იმ განაცხადის რეალურობა, რომ „სტუდენტი ითვისებს მთლიანად მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში და სიმპოზიუმებში თავისი დარგის პოპულიზაციისათვის.

აქვს საჯარო პრეზენტაციების მოწყობის უნარი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის უცხო ენაზე“. ეს ნახსენები იყო თვითშეფასების ანგარიშში და ყურადღება მიიქცია. არსებული ტექნიკა მოძველებულია და რეკომენდირებულია ახალი ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში, სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებას.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (მხატვრული კერამიკა, ბაკალავრიატი)

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს. ის იძლევა სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. არსებული ტექნიკა მოძველებულია და რეკომენდირებულია ახალი ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში, სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებას, ასევე ადგილზე ვიზიტს.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 (მხატვრული კერამიკა, სამაგისტრო პროგრამა)

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს.

სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. არსებული ტექნიკა მოძველებულია და რეკომენდირებულია ახალი ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში, სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გიორგი იაშვილთან გასაუბრებას, ასევე ადგილზე ვიზიტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა)

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს. ის იძლევა სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ტექნიკური აღჭურვილობა და ხელსაწყოები მხოლოდ ნაწილობრივ გვამძლევს საშუალებას მივაღწიოთ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებას, ასევე ადგილზე ვიზიტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 / (საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, სამაგისტრო პროგრამა)

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს.

სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ტექნიკური აღჭურვილობა და ხელსაწყოები მხოლოდ ნაწილობრივ გვამძლევს საშუალებას მივაღწიოთ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, ასევე ადგილზე ვიზიტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 / ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, საბაკალავრო პროგრამა

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს. ის იძლევა სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. არსებული ტექნიკა მოძველებულია და რეკომენდირებულია სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების ჩართვა, სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებას, ასევე ადგილზე ვიზიტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 / ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება, სამაგისტრო პროგრამა

შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და სწავლის სფეროს თავისებურებებს. სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა კარგად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. არსებული ტექნიკა მოძველებულია და რეკომენდირებულია სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების ჩართვა, სწავლის შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამების შინაარსს და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებას, ასევე ადგილზე ვიზიტს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (მხატვრული მინა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: გაუმჯობესდეს უცხო ენების ცოდნა და განვითარდეს ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (მხატვრული მინა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: გაუმჯობესდეს უცხო ენების ცოდნა და განვითარდეს ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით.

რჩევები: არ არის მითითებული

